დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 5 ივნისი**

დისციპლინური საქმე №103/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

-- -- 2023 წლის 24 მაისის №103 საჩივრით მომართა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს, მოსამართლე -- -- მიმართ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ საჩივარში „მითითებული არ არის მოსამართლის ვინაობა, დისციპლინური საქმე ან/და დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტი, დამოუკიდებელი ინსპექტორი საჩივრის (განცხადების) წარმდგენ პირს დაუდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 5 დღისა. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საჩივარი (განცხადება) არ განიხილება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 24 მაისის №340/103-03 წერილით, -- -- 2023 წლის 24 მაისის №103 საჩივარზე დადგინდა ხარვეზი (საჩივარში არ იყო მითითებული დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტი) და საჩივრის ავტორს განესაზღვრა 5 დღიანი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, თუმცა საჩივრის ავტორის მიერ ხარვეზი არ გამოსწორებულა.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2023 წლის 24 მაისის №103 საჩივრი დარჩეს განუხილველად.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი